

ბიზნესის განწყობის ინდექსი

4.2

შემცირება

სოფლის მეურნეობას
ნაყოფიერი ზაფხული
დაუდგა

III კვ 2018

კვლევაში მონაწილე კომპანიები

დიდი მცირე და საშუალო




35



95

კვლევის ძირითადი შედეგები



- ბოლო სამი კვარტლის განმავლობაში დაფიქსირებული ზრდის შემდეგ, 2018 წლის მესამე კვარტალში ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) გაუარესდა და 35.4 პუნქტამდე შემცირდა, რაც 4.2 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება წინა კვარტლის მაჩვენებელს. ბიზნესის განწყობის ინდექსის შემცირება განპირობებულია როგორც მოლოდინების, ისე გასული სამი თვის განმავლობაში საქმიანობის გაუარესებით ბიზნესის მრავალ სექტორში. სხვა სექტორებთან შედარებით მრეწველობის სექტორმა ყველაზე პესიმისტურად შეაფასა როგორც მიმდინარე საქმიანობა, ისე მოლოდინები. მაშინ როცა სოფლის მეურნეობის სექტორი ყველაზე ოპტიმისტურად არის განწყობილი, რაც აღნიშნულ დარგში გაზრდილი მოსავლით არის განპირობებული.
- მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი, რომელიც გასული სამი თვის ბიზნესის მდგომარეობას გვიჩვენებს, 2018 წლის მესამე კვარტალში 3.4 პუნქტით არის შემცირებული.
- ბიზნესის ოპტიმიზმი მცირედით შემცირებულია და 64.2 პუნქტს შეადგენს. მრეწველობის სექტორთან ერთად, საცალო ვაჭრობამ და საფინანსო სექტორმა ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ბიზნეს სექტორის შემცირებულ ოპტიმიზმში.
- გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი მცირედით შემცირებულია, თუმცა ისევ მაღალია გასული წლის მოლოდინებთან შედარებით. მომსახურების და მშენებლობის სექტორი მომდევნო კვარტალში კვლავ ფასების ზრდას მოელოს.
- მოლოდინები და მიმდინარე საქმიანობა გაუარესებულია როგორც დიდი ზომის, ისე მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის შემთხვევაში.
- დიდი ზომის ბიზნესებისათვის საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შემზღვეველ ფაქტორად ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და სივრცე და აღჭურვილობა რჩება. ხოლო მცირე და საშუალო ზომის ბიზნესების უმეტესობა მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად კვლავ ფინანსებზე ხელმისაწვდომობასა და მოთხოვნის სიმცირეს ასახელებს.

მეთოდოლოგიის სანახავად, გადადით მომდევნო **ბმულზე**
BCI-ის მონაცემების სანახავად, გადადით მომდევნო **ბმულზე**

(*) ბიზნესის განწყობის ინდექსი იცვლება [-100; +100] შკალაზე. ინდექსის სიდიდე გვაჩვენებს გამოკითხული რესპოდენტების დადებითი და უარყოფითი პასუხების შეწონილ ბალანსს. თუკი გამოკითხული ბიზნესების 100% იქნება პოზიტიურად განწყობილი, მაშინ ინდექსი გაუტოლდება 100-ს. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი უარყოფითად არის განწყობილი. თუ განწყობის ინდექსი გაუტოლდება 0-ს, ნიშნავს, რომ დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწყობილი ბიზნესების განაწილება თანაბარია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მეთოდოლოგიური შენიშვნები).